



ნივთიერების უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი		
გამოშვების თარიღი 21/01/2013	განახლების თარიღი 25/10/2022	ავტორი: ლეო რეიმეიქერსი (Leo Raeymaeckers)
საფუძველი: ევროკომისიის დირექტივა № 2001/58/EC ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) № 2003/2003 რეგულაცია (EC) №. 885/2004 რეგულაცია (EU ახალი წევრებისათვის)		

1. პროდუქტისა და კომპანიის იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკაცია

დანიშნულება	NPK სასუქი
სავაჭრო დასახელება	გროგრინ კიტრი
CAS ნომერი	პრეპარატა - ამიტომ არ არის არსებითი
EINECS სახელწოდება/ნომერი	პრეპარატა - ამიტომ არ არის არსებითი
სახელწოდება IUPAC-ის მიხედვით	პრეპარატა - ამიტომ არ არის არსებითი
მოლეკულური ფორმულა	პრეპარატა - ამიტომ არ არის არსებითი

1.2 პროდუქტის დანიშნულება

ძირითადი გამოყენება	წყალში ხსნადი NPK სასუქი ფერტიგაციის და ფოთლოვანი გზით გამოკვებისათვის.
---------------------	---

1.3 კომპანია

მწარმოებელი:

ლიმა ევროპა ნვ (ბელგია) Doelhaagstraat 77/1 B-2840 Rumst – Belgium	ტელეფონი № +32-3-844-73-70 ფაქსი № +32-3-888-14-82
--	---

1.4 გადაუდებელი დახმარება

ლიმა ევროპა ნვ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საგანგებო შემთხვევები	+32-3-844-73-70 დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ ტოქსიკოლოგიურ ცენტრს.
--	---

2. შემადგენლობა / ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

ნივთიერება/ნარევი: ნარევი (ნაზავი).

არ შეიცავს ინგრედიენტებს, რომლებიც მომწოდებლის ამჟამინდელი ცოდნისა და გამოყენებადი კონცენტრაციებით კლასიფიცირდება როგორც ჯანმრთელობისათვის ან გარემოსათვის საზიანო და შესაბამისად მოითხოვს აღნიშნულ პარაგრაფში მოხსენიებას. სამუშაო ადგილზე ზემოქმედების ზღვრები, არსებობის შემთხვევაში, მითითებულია მე-8 პარაგრაფში.

3. საფრთხეთა იდენტიფიკაცია

3.1 კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია (EC) NO 1272/2008 [CLP/GHS] რეგულაციის შესაბამისად

კლასიფიკაცია: დამქ. მყარი ნივთ. 3, H272

კლასიფიკაცია 1999/45/EC (DPD) დირექტივის შესაბამისად

კლასიფიკაცია: 0, R8

ზემოთ ხსენებული R ან H-ფრაზების სრული ტექსტისათვის იხილეთ მე-16 პარაგრაფი.

ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისა და სიმპტომების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-11 პარაგრაფი.



ეტიკეტის ელემენტები:

საშიშროების პიქტოგრამები:



სასიგნალო სიტყვა:

ფრთხილად

საშიშროების შესახებ განცხადებები:

შეიძლება გამოიწვიოს ცეცხლის გაძლიერება, დამჟანგველია.

გამაფრთხილებელი განცხადებები:

შეინახეთ სითბოს, ნაპერწკლების, ღია ცეცხლის წყაროებისა და ცხელი ზედაპირებისაგან შორს. თამბაქოს მოწევა აკრძალულია. შესანახეთ აალებადი მასალებისა და ქიმიური ნივთიერებებისაგან შორს.

რეაგირება:

ხანძრის შემთხვევაში: ჩასაქრობად გამოიყენეთ დიდი რაოდენობის წყალი.

ეტიკეტის დამატებითი ელემენტები:

არ არის ხელმისაწვდომი

სპეციალური მოთხოვნები შეფუთვაზე:

არ არის ხელმისაწვდომი

სხვა საფრთხეები:

არ არის ხელმისაწვდომი

3.2 ადამიანის ჯანმრთელობა

სწორად მოპყრობის დროს პრეპერატი ძირითადად უვნებელია, თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი მითითებები:

კანთან შეხება:

კანთან ხანგრძლივმა შეხებამ შეიძლება გამოიწვიოს გაღიზიანება.

თვალთან შეხება:

თვალთან შეხების შემდეგ შეიძლება გამოიწვიოს გაღიზიანება.

ჩაყლაპვა:

ნაკლებად სავარაუდოა, რომ მცირე რაოდენობით გამოიწვიოს ტოქსიკური ეფექტი. დიდმა რაოდენობამ შეიძლება გამოიწვიოს კუჭ-ნაწლავის დარღვევები, ექსტრემალურ შემთხვევებში (განსაკუთრებით ბავშვებში) შესაძლოა მეტაპემოგლობინის წარმოქმნა („ლურჯი ბავშვის“ სინდრომი) და ციანოზის (გამოიხატება სილურჯით პირის გარშემო) განვითარება.

ჩასუნთქვა:

ნივთიერების მტვერის მაღალმა კონცენტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს ცხვირის და სასუნთქი გზების გაღიზიანება ისეთი სიმპტომებით, როგორიცაა ყელის ტკივილი და ხველა.

გრძელვადიანი ეფექტები:

გვერდითი ეფექტები არ არის ცნობილი.

ცეცხლი და თერმული

გამდნარ ნივთიერებას შეუძლია გამოიწვიოს დამწვრობა, ხოლო დაშლისას გამოყოფილი გაზების ჩასუნთქვას შეიძლება მოჰყვეს რესპირატორული ტრაქტის გაღიზიანება და კოროზიული ეფექტი. ფილტვებზე ზემოქმედება შეიძლება გვიან გამოვლინდეს.

3.3 გარემო

ვინაიდან აღნიშნული სასუქი შეიცავს ნიტრატებსა და ფოსფატებს, დიდი რაოდენობით დაღვრას/გაფანტვას შეუძლია გარემოზე ისეთი არასასურველი ზემოქმედების გამოწვევა როგორიცაა ზედაპირული წყლების ევთროფიკაცია ან ნიადაგის, ან ზედაპირული წყლების ნიტრატებით დაბინძურება. (იხილეთ მე-12 პარაგრაფი).

3.3 სხვა

აალება, გაცხელება და აფეთქება:

- სასუქები არ არის თვითაალებადი, თუმცა მათ შეუძლია ხელი შეუწყოს წვის პროცესს ჰაერის უკმარისობის შემთხვევაშიც კი. ძლიერი გახურების შედეგად ისინი დნება და იშლება.
- სასუქების შეზღუდულ სივრცეში (მაგ. მილბში ან სადრენაჟო სისტემებში) გახურებას შესაძლოა მოჰყვეს ძლიერი რეაქცია, ან აფეთქება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს მე-10.3 პარაგრაფში მითითებული ნივთიერებებით დაბინძურებას.
- დაშლისას შეიძლება გამოიყოს წყლის ორთქლი და ტოქსიკური აირები როგორიცაა აზოტის ოქსიდი და ამიაკი.



4. პირველადი დახმარების ზომები

4.1 პროდუქტი

- კანთან შეხება:* ჩამოიბანეთ დაზიანებული ადგილი წყლითა და საპნით. მიმართეთ ექიმს, თუ გაღიზიანება ნარჩუნდება ან მწვავედება.
- თვალთან შეხება:* ჩამოიბანეთ/გამორეცხეთ თვალი (ქუთუთოების ქვეშაც) გამდინარე წყლის ნაკადით მინიმუმ 10 წუთის განმავლობაში. მიმართეთ ექიმს თუ თვალის გაღიზიანება ნარჩუნდება.
- ჩაყლაპვა:* არ გამოიწვიოთ ღებინება. მიეცით წყალი, ან რძე დასალევად. მიმართეთ ექიმს, თუ გადაყლაპულია მცირეზე მეტი რაოდენობა.
- ჩასუნთქვა:* დაზარალებული დაუყოვნებლივ გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. ამყოფეთ თბილად და მშვიდ გარემოში. გვერდითი ეფექტების გამოვლენისას მიმართეთ ექიმს.

4.2 ხანძარი და დაშლის პროდუქტები

- კანთან შეხება:* გამდნარ ნივთიერებასთან შეხების ადგილი ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობის ცივი წყლით. მიმართეთ ექიმს.
- ჩასუნთქვა:* გაიყვანეთ დაზარალებული კვამლის გავრცელების ზონიდან. ამყოფეთ თბილად და მშვიდ გარემოში. მიაწოდეთ ჟანგბადი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს აღენიშნება სახის სილურჯე. ხელოვნური სუნთქვა გამოყენეთ მხოლოდ სუნთქვის უკმარისობის ან შეწყვეტის დროს.

4.3 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე დაყოვნებული სიმპტომები და შედეგები

ჯანმრთელობისათვის პოტენციური მწვავე ეფექტები

- კანთან შეხება:* მნიშვნელოვანი ეფექტები ან საფრთხეები არ არის ცნობილი.
- თვალთან შეხება:* მნიშვნელოვანი ეფექტები ან საფრთხეები არ არის ცნობილი.
- ჩაყლაპვა:* მნიშვნელოვანი ეფექტები ან საფრთხეები არ არის ცნობილი.
- ჩასუნთქვა:* დაშლის პროდუქტების ზემოქმედება შეიძლება იყოს ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი.

ჭარბი ზემოქმედების ნიშნები/სიმპტომები

კონკრეტული მონაცემები არ არის.

ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სპეციფიკური მკურნალობის საჭიროების ჩვენებები

მითითებები ექიმისათვის: მკურნალობა სიმპტომატურია. პრეპარატის დიდი რაოდენობის გადაყლაპვის ან ჩასუნთქვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ტოქსიკოლოგს. ცეცხლში დაშლის პროდუქტების ჩასუნთქვისას, სიმპტომები შეიძლება გვიან გამოვლინდეს. დაზარალებულს შეიძლება დასჭირდეს სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა.

სპეციფიკური მკურნალობა: სპეციფიკური მკურნალობა არ არსებობს.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩასაქრობად გამოიყენეთ წყლის ძლიერი ჭავლი. არ გამოიყენოთ ქიმიური ჩამქრობი მასალა ან ქაფი, ან არ შეეცადოთ ცეცხლის ჩასაქრობად გამოიყენოთ ორთქლი ან ქვიშა.

5.2 ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი სპეციფიკური საფრთხეები

ნივთიერებიდან წარმოქმნილი საფრთხეები:



დამქანგველი მასალა. შეიძლება გამოიწვიოს ცეცხლის გაძლიერება. პროდუქტი არ არის თვითაღებადი, თუმცა მას შეუძლია ჰაერის არ არსებობის დროსაც კი, წვის პროცესის ხელშეწყობა. გაცხელებისას დნება და შემდგომ გაცხელებას შეუძლია გამოიწვიოს მისი დაშლა, აზოტის ოქსიდების შემცველი ტოქსიკური კვამლის გამოთავისუფლებით. მას ახასიათებს აფეთქების მიმართ მაღალი მდგრადობა.

ძლიერი შეზღუდვის ქვეშ გაცხელებას შეუძლია აფეთქების გამოწვევა.

დაშლის პროდუქტები:

დაშლამ შეიძლება გამოიწვიოს გოგირდის ოქსიდებისა და მეტალის ოქსიდების წარმოქმნა. თავიდან აიცილეთ დამწვარი მასალისაგან წარმოქმნილი მტვრის, ანაორთქლის ან კვამლის ჩასუნთქვა. ხანძრის დროს წარმოქმნილი დაშლის პროდუქტების ჩასუნთქვის შემთხვევაში სიმპტომები შეიძლება გვიან გამოვლინდეს.

5.3. რჩევა მეხანძრეებისათვის

სპეციალური უსაფრთხოების ზომები:

ხანძრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინეთ შემთხვევის ადგილის იზოლირება ინციდენტის ადგილთან ახლოს მყოფი პერსონალის გაყვანით. პერსონალური რისკის შემცველი, ან სათანადო პროფესიული მომზადების გარეშე, არავითარი ქმედება არ უნდა გამოხორციელდეს. კონტეინერების გაიტანეთ ხანძრის ზონიდან, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი. ხანძრის ზონაში მყოფი კონტეინერების გასაგრილებლად გამოიყენეთ წყლის ჭავლი.

სპეციალური თავდაცვა:

მეხანძრემ უნდა ატაროს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დადებითი წნევის პირობებში მომუშავე ინდივიდუალური სასუნთქი აპარატი (SCBA) სახის სრული ნიღბით. მეხანძრის სპეცტანსაცმელმა (ჩაფხუტის, დამცავ ჩექმების და ხელთათმანების ჩათვლით) ევროპული სტანდარტის EN 469 შესაბამისად უნდა უზრუნველყოს ქიმიური ინციდენტების დროს დაცვის ზაზისური დონე.

6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აპარატურა და საგანგებო პროცედურები

არა-საგანგებო პერსონალისათვის:

პერსონალური რისკის შემცველი, ან სათანადო პროფესიული მომზადების გარეშე, არავითარი ქმედება არ უნდა გამოხორციელდეს. დატოვეთ სახოფათო ზონა. დაიცავით არასაჭირო და დაუცველი პერსონალი შეღწევისგან. არ შეეხოთ ან იაროთ დაღვრილი მასალაზე. გამორთეთ აალების ყველა წყარო. საშიშროების ადგილზე იკრძალება კაშკაშა სინათლე, მოწვევა ან ღია ალის გამოყენება. უზრუნველყავით ადეკვატური განიავება. არასათანადო განიავების პირობებში ატარეთ შესაბამისი რესპირატორი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები..

საგანგებო პერსონალისათვის:

თუ დაღვრილი მასალის ლიკვიდაციისათვის საჭიროა დამცავი სპეცტანსაცმელის გამოყენება, გაითვალისწინეთ შესაფერისი და შეუფერებელი მასალების შესახებ მე-8 პარაგრაფში მითითებული ინფორმაცია. ასევე იხილეთ „არა-საგანგებო პერსონალისათვის“ განკუთვნილი ინფორმაცია.

6.2. გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

თავიდან აიცილეთ დაღვრილი პრეპარატის გავრცელება და ნიადაგთან, წყალსადინარებთან, სანიაღვრე და საკანალიზაციო არხებთან კონტაქტი და მათში ჩადინება. შეატყობინეთ შესაბამის უწყებებს თუ პროდუქტმა გამოიწვია გარემოს (საკანალიზაციო მილების, წყალსადინარების, ნიადაგის ან ჰაერის) დაზიანება.

6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

მცირე დაღვრა/გაფანტვა:

გამოიტანეთ კონტეინერები გაუონვის არეალიდან. დაღვრილი/გაფანტული პრეპარატი შეაგროვეთ ამოტუმბვით ან ან გამოგვით, მოათავსეთ მარკირებულ, ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში. გამოიყენეთ უნაპერწკლო ინსტრუმენტები და ფეთქებადუსაფრთხოაპარატურა. უტილიზაცია მოახდინეთ სახიფათო ნარჩენების მართვის განხორციელების ლიცენზიის მფლობელი კონტრაქტორების საშუალებით.

მნიშვნელოვანი დაღვრა/გაფანტვა:



გამოიტანეთ კონტეინერები გაჟონვის არეალიდან. მიუხეობით დაღვრის ადგილს ქარის საწინააღმდეგო მხრიდან. თავიდან აიცილეთ საკანალიზაციო მიწებში, წყალსადინარებში, შენობის დახურულ სარდაფებში ჩადინება. დაღვრილი/გაფანტული პრეპარატი შეაგროვეთ ამოტუმბვით ან გამოგვით, მოათავსეთ მარკირებულ, ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში. გამოიყენეთ უნაპერწკლო ინსტრუმენტები და ფეთქებადუსაფრთხო აპარატურა. უტილიზაცია მოახდინეთ ნარჩენების მართვის განხორციელების ლიცენზიის მფლობელი კონტრაქტორების საშუალებით.

შენიშვნა: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საგანგებო შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ პარაგრაფი 1 და ნარჩენების უტილიზაციისათვის პარაგრაფი 13.

7. მოხმარება და შენახვის პირობები

7.1 უსაფრთხო გამოყენების რჩევები:

უსაფრთხოების ზომები:

ჩაიცვით შესაბამის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (იხილეთ მე-8 პარაგრაფი). არ ჩაყლაპოთ, თავიდან აიცილეთ თვალები, კანზე და ტანსაცმელზე მოხვედრა. შეინახეთ ქარხნულ კონტეინერში, ან თავსებადი მასალისაგან დამზადებულ ალტერნატიულ აპრობირებულ კონტეინერში. როდესაც არ იყენებთ ტარა შეინახეთ მჭიდროდ დახურულ მდგომარეობაში. მთავრად ტანსაცმელს, შეუთავსებელ და აალებად მასალებს. მთავრად სიცხეს. დაცვილ ჭურჭელში ჩატოვებული ნარჩენები საფრთხის შემცველია. დაუშვებელია დაცვილი ტარის ხელახლა გამოყენება. წყალთან შერეული პროდუქტი წარმოქმნის სრილაა ზედაპირს.

პროფესიული ჰიგიენა:

ამ პრეპარატის შენახვის, დამუშავების, ან გამოყენების არეალში აკრძალულია ჭამა, წყლის დალევა ან თამბაქოს მოწევა. მომუშავე პირებმა საკვების ან წყლის მიღებამდე, ან თამბაქოს მოწევის წინ უნდა დაიბანონ ხელ-პირი. სასადილო სივრცეში შესვლამდე მოიშორეთ პრეპარატი დაბინძურებული ტანსაცმელი დასხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. დამატებითი ჰიგიენური ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ მე-8 პარაგრაფი.

7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

რეკომენდაციები:

შეინახეთ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად. შეინახეთ მზის შუქისაგან დაცულ ქარხნულ კონტეინერში, მშრალ, გრილ და კარგად განიავებად სივრცეში, საკვების, სასმელისა და შეუთავსებადი მასალებისაგან შორს (იხილეთ მე-10 პარაგრაფი). მოათავსეთ კიმიურ ადგილზე აგენტებისა და აალებად ნივთიერებებისაგან განცალკევებით. ხელახლა გამოყენებამდე კონტეინერი კარგად დახურეთ და დალუქეთ. გახსნილი ტარა კარგად უნდა დაილუქოს და გაჟონვის თავიდან ასაცილებლად მოთავსდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში. არ შეინახოთ არამარკირებულ ჭურჭელში. გამოიყენეთ სათანადო კონტეინერი, გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. მთავრად ორგანული მასალებს, ნავთობპროდუქტებსა და საცხებს.

8. ზემოქმედების კონტროლი / პერსონალური დაცვა

8.1 კონტროლის პარამეტრები

რეკომენდებული მონიტორინგი:

თუ პროდუქტი შეიცავს ინგრედიენტებს ზემოქმედების ზღვრული მნიშვნელობებით, მაშინ შესაძლოა პერსონალი, სამუშაო სივრცე, ან ბიოლოგიური მონიტორინგი დაექვემდებაროს გარკვეულ ზომებს, რომლებიც განსაზღვრავს ვენტილაციის ეფექტურობას, ან სხვა ღონისძიებებს და/ან რესპირატორული მოწყობილობების გამოყენების აუცილებლობას. გადაწყვეტილებები უნდა ეყრდნობოდეს ევროპულ სტანდარტს EN 689 – ზემოქმედების შეფასება კიმიური აგენტების შესუნთქვისას და ეროვნულ სახელმძღვანელო დოკუმენტებს სამომ ნივთიერებათა განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ.

8.2 ზემოქმედების კონტროლი

სათანადო ტექნოლოგია:

სპეციალური განიავება არ არის აუცილებელი. კარგი ჩვეულებრივი განიავება საკმარისია ჰაერში გაფანტული ნივთიერების ზემოქმედებისაგან პერსონალის დასაცავად. თუ პროდუქტი შეიცავს ინგრედიენტებს ზემოქმედების ზღვრული მნიშვნელობებით, გამოიყენეთ დახურული წარმოება, ადგილობრივი გამწოვი ვენტილაცია, ან სხვა ეფექტური საინჟინრო გადაწყვეტა, რათა მომუშავე პერსონაზე ზემოქმედება მოექცეს რეკომენდებული, ან დადგენილი საზღვრებში.



8.3 პირადი უსაფრთხოების ზომები

ჰიგიენური ღონისძიებები:

ადგილზე უნდა იყოს დასაბანი სასუალებები, ან წყალი თვალებისა და კანის ჩამოსაბანად.
თვალებისა და სახის დაცვა:

თუ რისკის შეფასების შესაბამისად აუცილებელია თვალების შეფხვისაგან, ჰაერში გაფრქვეული ნაწილაკებისგან (აეროზოლისაგან), ან მტვრისგან დაცვა, უნდა გამოიყენოთ დადგენილი სტანდარტის შესაბამისი დამცავი სათვალები.

8.4 კანის დაცვა

ხელების დაცვა:

პერსონალმა მუშაობის პერიოდში ყოველთვის უნდა ატაროს ქიმიურად მედეგი, გაუმტარი, დადგენილი სტანდარტის შესაბამისი დამცავი ხელთათმანები, თუ რისკის შეფასება მიუთითებს ამის აუცილებლობაზე.

სხეულის დაცვა:

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა შეირჩეს შესასრულებელი ამოცანისა და მასთან დაკავშირებული რისკების მიხედვით.

კანის დაცვის სხვა საშუალებები:

შესაბამისი ფეხსაცმელი და კანის დაცვის სხვა დამატებითი საშუალებები უნდა შეირჩეს შესასრულებელი ამოცანისა და მასთან დაკავშირებული რისკების მიხედვით, რაც პროდუქტის გამოყენებამდე უნდა დაადასტუროს სპეციალისტმა.

სასუნთქი გზების დაცვა:

გამოიყენეთ სწორად შერჩეული, ჰაერის მიმწოდებელი ან ჰაერით მომარაგებელი დადგენილი სტანდარტის შესაბამისი რესპირატორები, თუ რისკის შეფასება მიუთითებს ამის აუცილებლობაზე. რესპირატორის შერჩევა უნდა მოხდეს ცნობილი, ან მოსალოდნელი ზემოქმედების დონის, პროდუქტთან დაკავშირებული რისკებისა და შერჩეული რესპირატორის სამუშაო ზღვრების შესაბამისად.

ზემოქმედება გარემოზე

ვენტილაციის, ან ტექნოლოგიური მოწყობილობებისგან წარმოქმნილი ემისიები.

კონტროლი:

საჭიროა გადამოწმდეს მათი თავსებადობა გარემოს დაცვით კანონმდებლობასთან. ზოგიერთ შემთხვევაში დაბინძურების ხარისხის დასაშვებ დონემდე შესამცირებლად, საჭიროა სველი მტვერჩამჭერების, ფილტრების, ან აპრობირებულ მოწყობილობათა საინჟინრო მოდიფიკაციების გამოყენება.

9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ზოგადი ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე

გარეგნული სახე:

ფიზიკური მდგომარეობა:	მყარი
ფერი:	არ არის დადგენილი.
სუნი:	არ არის დადგენილი.
სუნის შეგრძნების ზღვარი:	არ არის დადგენილი.
pH:	არ არის დადგენილი.
ლღობის ტემპერატურა/გაყინვის ტემპერატურა:	არ არის დადგენილი.
საწყისი დუღილის წერტილი და დუღილის დიაპაზონი:	არ არის დადგენილი.
აალების წერტილია:	არ არის დადგენილი.
აორთქლების სიჩქარე:	არ არის დადგენილი.
აალებადობა:	არ არის არააალებადი.
წვის დრო:	არ არის დადგენილი.



წვის სიჩქარე:	არ არის დადგენილი.
აალების ან აფეთქების ქვედა/ზედა ზღვარი:	ქვედა: არ არის დადგენილი. ზედა: არ არის დადგენილი.
ორთქლის წევა:	არ არის დადგენილი.
ორთქლის სიმკვრივე:	არ არის დადგენილი.
ფარდობითი სიმკვრივე:	არ არის დადგენილი.
განაწილების კოეფიციენტი	არ არის დადგენილი.
ნ-ოქტანოლი/წყალი:	არ არის დადგენილი.
თვითაალების ტემპერატურა:	არ არის დადგენილი.
სიბლანტე:	არ არის დადგენილი.
ფეთქებადი თვისებები:	არ არის ფეთქებადი.
დამჟანგავი თვისებები:	დამჟანგავი.

10. მდგრადობა და რეაქტიულობა

რეაქტიულობა:	აღნიშნულ ნარევის ან მის ინგრედიენტების რეაქტიულობასთან დაკავშირებული კვლევის კონკრეტული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.
ქიმიური მდგრადობა:	პროდუქტი არის ქიმიურად მდგრადი.
სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა:	შენახვის და გამოყენების გარკვეულ პირობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სახიფათო რეაქციებს ან არამდგრადობას. პირობები: აალებად მასალებთან კონტაქტი. რეაქციები: ხანძრის წარმოქმნის ან გააქტიურების რისკი.
ასარიდებელი გარემოებები:	კონკრეტული მონაცემები არ არის.
შეუთავსებელი მასალები:	ურთიერთქმედებს ან შეუთავსებელია შემდეგ მასალებთან: ტუტეებთან, აალებად მასალებთან, აღმდგენელ მასალებთან, ორგანული ნივთიერებებთან და მჟავებთან.
დაშლის პროდუქტები:	ნორმალურ პირობებში შენახვისა და გამოყენების პირობებში დაშლის საშიში პროდუქტების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი.

11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

11.1 ინფორმაცია ტოქსიკოლოგიურ ეფექტებზე

დასკვნა/რეზიუმე:	მნიშვნელოვანი ეფექტები ან კრიტიკული საფრთხეები არ არის ცნობილი. დაშლის პროდუქტების ჩასუნთქვის შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს ჯანმრთელობისათვის პოტენციური მწვავე ეფექტები. ზემოქმედების შემდეგ გვერდითი შეიძლება გვიან გამოვლინდეს.
------------------	--

12. ეკოლოგიური ინფორმაცია

12.1 ეკოტოქსიკურობა

დასკვნა/რეზიუმე:	მნიშვნელოვანი ეფექტები ან კრიტიკული საფრთხეები არ არის ცნობილი.
------------------	---

12.2 მდგრადობა / დეგრადაციის უნარი

დასკვნა/რეზიუმე:	მნიშვნელოვანი ეფექტები ან კრიტიკული საფრთხეები არ არის ცნობილი.
------------------	---

12.3 მობილურობა ნიადაგში

მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი.



12.4 PBT და vPvB შეფასების შედეგები

არ გამოიყენება

13. განკარგვის (უტილიზაციის) პირობები

13.1 ნარჩენების მართვის მეთოდები

პროდუქტი:

უტილიზაციის მეთოდები:

ნარჩენების წარმოქმნა თავიდან უნდა იქნას აცილებული ან მინიმუმამდე შემცირდეს, სადაც ეს შესაძლებელია. გამოსაღებ ნარჩენების მნიშვნელოვანი რაოდენობა არ უნდა განადგურდეს კანალიზაციაში ჩაყრით, ის უნდა გადამუშავდეს შესაბამის ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში. ჭარბი და გადამუშავებისთვის უვარგისი პროდუქტის უტილიზაცია მოახდინეთ ნარჩენების მართვის განხორციელების ლიცენზიის მფლობელი კონტრაქტორების საშუალებით. აღნიშნული პროდუქტის, ხსნარებისა და ნებისმიერი თანამდევი პროდუქტების უტილიზაცია ნებისმიერ დროს უნდა აკმაყოფილებს გარემოს დაცვის მოთხოვნებსა და ნარჩენების განკარგვის კანონმდებლობას, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მოთხოვნებს.

საშიში ნარჩენი:

პროდუქტის კლასიფიკაცია შეიძლება შეესაბამებოდეს საშიში ნარჩენების კრიტერიუმებს.

შეფუთვა/ტარა:


უტილიზაციის მეთოდები:

ნარჩენების წარმოქმნა თავიდან უნდა იქნას აცილებული ან მინიმუმამდე შემცირდეს, სადაც ეს შესაძლებელია. ტარის ნარჩენები უნდა გადამუშავდეს. ინსენერაცია ან დამარხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადამუშავება შეუძლებელია. დაცალეთ პაკეტი შენჯღრევით/დაბერტყვით შიგთავსისაგან სრულად დასაცლელად. ცარიელი პაკეტები შეიძლება განადგურდეს როგორც არასაშიში მასალა ან დაბრუნდეს გადამამუშავებლად.

სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები:


აღნიშნული პროდუქტისა და მისი ტარის უტილიზაცია უნდა განხორციელდეს უსაფრთხო გზით. სიფრთხილედ უნდა გამოიჩინოთ ჭუჭყიან ან გაურეცხავ დაცლილ ტარასთან მოპყრობის დროს. თავიდან აიცილეთ დაღვრილი პრეპარატის გავრცელება და ნიადაგში, წყალსადინარებში, არხებსა და საკანალიზაციო მილებში მოხვედრა.


14. ინფორმაცია ტრანსპორტირების შესახებ

14.1 რეგულაცია: ADR/RID	
(UN) გაეროს ნომერი	1479
UN სათანადო გადაზიდვის სახელი	დამჟანგველი მყარი ნივთიერება, N.O.S. (კალიუმის ნიტრატი,)
საშიშროების კლასი (ებ)ი ტრანსპორტირებისას	5.1 
შეფუთვის ჯგუფი	III
ეკოლოგიური საფრთხეები	არა.
დამატებითი ინფორმაცია	: ADR/RID
საფრთხის საიდენტიფიკაციო ნომერი	: 50
ლიმიტირებული რაოდენობა	: LQ12
სპეციალური დებულებები	: 274
გვირაბში შეზღუდვის კოდი	: (E)



14.2 რეგულაცია: ADN	
(UN) გაეროს ნომერი	1479
UN სათანადო გადაზიდვის სახელი	დამჟანგველი მყარი ნივთიერება, N.O.S. (კალიუმის ნიტრატი,)
საშიშროების კლასი (ებ)ი ტრანსპორტირებისას	5.1 
შეფუთვის ჯგუფი	III
გარემოსთან დაკავშირებული საფრთხეები	არა.
დამატებითი ინფორმაცია	: ADN
საზღვაო დამაბინძურებელი	: არა.

14.3 რეგულაცია: IMDG	
(UN) გაეროს ნომერი	1479
UN სათანადო გადაზიდვის სახელი	დამჟანგველი მყარი ნივთიერება, N.O.S. (კალიუმის ნიტრატი,)
საშიშროების კლასი (ებ)ი ტრანსპორტირებისას	5.1 
შეფუთვის ჯგუფი	III
გარემოსთან დაკავშირებული საფრთხეები	არა.
დამატებითი ინფორმაცია	: IMDG
საზღვაო დამაბინძურებელი	: არა.
სპეციალური უსაფრთხოების ზომები მომხმარებლებისათვის	: არ ექვემდებარება შევსებას
საგანგებო გრაფიკები (EmS)	: F-A, S-Q

14.4 რეგულაცია: IATA	
(UN) გაეროს ნომერი	1479
UN სათანადო გადაზიდვის სახელი	დამჟანგველი მყარი ნივთიერება, N.O.S. (კალიუმის ნიტრატი,)
საშიშროების კლასი (ებ)ი ტრანსპორტირებისას	5.1 
შეფუთვის ჯგუფი	III
გარემოსთან დაკავშირებული საფრთხეები	No.
დამატებითი ინფორმაცია	: IATA
საზღვაო დამაბინძურებელი	: არა.
სპეციალური უსაფრთხოების ზომები მომხმარებლებისათვის	: არ ექვემდებარება შევსებას
სამგზავრო და სატვირთო თვითმფრინავი	
რაოდენობის შეზღუდვა	: 25.00 KG
შეფუთვის ინსტრუქციები	: 559
სატვირთო თვითმფრინავი	
რაოდენობის შეზღუდვა	: 100.00 KG
შეფუთვის ინსტრუქციები	: 563



14.5 დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL73/78 დანართი II და IBC კოდის შესაბამისად

არ ექვემდებარება შევსებას

14.6 IMSBC

სათანადო გადაზიდვის სახელი: დამყანგველი მყარი ნივთიერება,, N.O.S. UN1479

კლასი: კლასი 5.1: დამყანგველი ნივთიერება

ჯგუფი: B

15. მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1 ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

დანართი XVII – შეზღუდვები წარმოებაში, განთავსება ბაზარზე და განსაზღვრული სახიფათო ნივთიერებების, ნაზავებისა და ნაკეთობების გამოყენება: არ გამოიყენება

15.2 სხვა EU-რეგულაციები:

ევროპული რეესტრი: არ არის განსაზღვრული.

IPPC – ჰაერი: არ არის ჩამონათვალში..

IPPC – წყალი: არ არის ჩამონათვალში.

სახიფათო ინციდენტი: არ გამოიყენება.
დადგენილება, შენიშვნა

15.3 ნაციონალური რეგულაციები:

D.Lgs. 152/06: არ კლასიფიცირდება.

რეგულაცია (EU) 2003/2003: რეგულაცია (EU) 2003/2003, D.Lgs. 217/2006.
D.Lgs. 217/2006

მითითებები: რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც სხვა სახელმწიფოებსა და ქვეყნებში არ მოქმედებს შესაბამისი სპეციალური რეგულაციები.

ქიმიური უსაფრთხოების შეფასება: აღნიშნული პროდუქტი შეიცავს ნივთიერებებს რომლებსთვისაც ქიმიური უსაფრთხოების შეფასება დღემდე არის საჭირო.

16. სხვა ინფორმაცია

16.1 აბრევიატურები და აკრონიმები

- ATE = მწვავე ტოქსიკურობის შეფასება
- CLP = კლასიფიკაციის, მარკირებისა და შეფუთვის რეგულაცია [რეგულაცია (EC) No. 1272/2008]
- DNEL = მიღებული უსაფრთხო დონე (ნივთიერებისგან წარმოქმნილი ზემოქმედების უსაფრთხოების მაჩვენებელი)
- EUH განცხადება= CLP-სპეციფიკური საფრთხის ფორმულირება
- PNEC = მოსალოდნელი არაეფექტური კონცენტრაცია
- RRN = REACH რეგისტრაციის ნომერი
- Bw = სხეულის მასა

16.2 ძირითადი ლიტერატურის ცნობარი და მონაცემთა წყაროები

EU REACH IUCLID5 CSR



Regulation (EC) No. 1272/2008 Annex VI
 National Institute of Occupational Safety and Health, U.S.
 Dept. of Health, Education and Welfare
 Reports and Memoranda Registry of Toxic Effects of Chemical Substances
 Atrion International Inc. 4777 Levy Street, St. Laurent, Quebec HAR 2P9, Canada

16.3 პროცედურა რომელიც გამოიყენება ევროკავშირის (EC) No. 1272/2008 [CLP/GHS] რეგულაციის შესაბამისად კლასიფიკაციის მისაღებად

კლასიფიკაცია	დასაბუთება
დამფ. მყარი ნივთ. 3, H272	ექსპერტის დასკვნა

შემოკლებული H ფრაზების სრული ტექსტი:	H272	შეუძლია ცეცხლის გაძლიერება. დამყანგველია.
კლასიფიკაციის სრული ტექსტი: [CLP/GHS]	Ox. Sol.3	დამყანგველი მყარი ნივთიერება სხეულებს კატეგორია 3.
შემოკლებული R ფრაზების სრული ტექსტი:	R8	ადვილად აღემატება მასალასთან კონტაქტს შეუძლია ცეცხლის გამოწვევა.
კლასიფიკაციის სრული ტექსტი: [DSD/DPD]	O	დამყანგველი
დაბეჭდვის თარიღი:		18/11/2014
განახლების თარიღი:		18/11/2014
მწარმოებელი:		ლიმა ევროპა ნვ.

წინამდებარე დოკუმენტში – ნივთიერების მონაცემთა უსაფრთხოების ფურცელში – ინფორმაცია წარმოდგენილია კეთილსინდისიერად და მისი სისწორის რწმენით, რომელიც ეყრდნობა გამოქვეყნების მომენტისათვის ნივთიერებისა და მისი დამზადების შესახებ ჩვენს ცოდნას. იგი არ გულისხმობს კომპანიის მხრიდან კანონის წინაშე დამატებითი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის აღიარებას პროდუქტის გამოყენების, ან არასწორი გამოყენების დროს რომელიმე კონკრეტულ ვითარებაში დამდგარ შედეგებზე.

ლიმა ევროპა ნვ
 ბელგია